ნიანგი

13

ივლისი 1990

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

რა ღმერთი გინყრებათ,
ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო?! —
სად გაქრა თქვენი
შ ე მ ა რ თ ე ბ ა?!
რა გახდა ერთი
ა ე რ თ ე ბ ა?! —
რა უბედურება
გემართებათ?!

მუხრან მაჭავარიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნომადი ბართაია

წამით წარმოიდგინეთ!..

პამფლეტი

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში ყველაფერი
თავდაყირა დგას! მადლობა ღმერთს, რომ ჩვენში ყველა-
ფერი მოშლილია, არაფერი თავის ადგილას არ არის,
არავინ ასრულებს იმას, რაც ევალება!
აბა, წარმოიდგინეთ, ყველაფერი დალაგებული იყოს,
როგორც წესი და რიგია, ყველა ასრულებდეს იმას, რაც
ევალება! რა განუკითხაობა იქნებოდა მაშინ! მხატვრუ-
ლად რომ ვთქვათ, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა!
მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე არ არის!
აბა, წამით დავუშვათ, რომ ინჟინერი წესის და რიგის
მიხედვით ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას,
მუშასა და ხელოსანს ღლიურად უხდიდეს იმდენ თანხას,
რამდენიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი! მაშინ
ხომ საერთოდ შეწყდებოდა მშენებლობა და პირველყო-
ფილი ადამიანებივით ტყეებსა და გამოქვაბულებს ვიქნე-
ბოდით შეფარებულნი, რადგან სახელმწიფოს მიერ გან-
საზღვრული შრომის ანაზღაურებით საქათმესაც კი ვერ
ააშენებდა ესა თუ ის მშენებელი!
კიდევ კარგი, მშენებლობის ყოველმა მესვეურმა
მშვენივრად უწყის ცხოვრების ეს ანბანი და მუშასა და
ხელოსანს ღღიურად უხდის იმდენს, რამდენიც რეალუ-
რად შეესაბამება შესრულებულ სამუშაოს, რაც თავის
მხრივ უზრუნველყოფს მუშახელის სამუშაოზე მო-
ზიდვას.
ცნობილია, რომ მშენებელი მხოლოდ კი არ აშენებს,
არამედ ანგრევს კიდეც. ეს რომ ასე არ იყოს, ღმერთმა
ნუ ქნას, რადგან სწორედ ამაშია ცხოვრების დიალექტი-
კა. შენებას ნგრევა მოჰყვება, ნგრევას — შენება და მი-
დის ასე დაუსრულებლივ ცხოვრება!..
ანგრევს იმიტომ, რომ ჩუმად ყიდის იმ სამშენებლო
მასალას, რაც აუცილებელია და სახელმწიფოს მიერ არის
გამოყოფილი ამა თუ იმ ობიექტის ასაშენებლად. ეს
რომ ასე არა ქნას, ღმერთმა ნუ ქნას! აბა, წარმოიდგი-
ნეთ, რა სავალალო მდგომარეობაში ჩავარდებოდა მთე-
ლი მოსახლეობა! დედამიწის ზურგზე არ მეგულება ადა-
მიანი, რომელსაც არ დასჭირდება რაიმე სამშენებლო
მასალა, რომელსაც ვერც ერთ მაღაზიაში ვერ იშოვის
და იშოვის მხოლოდ მშენებარე ობიექტზე!
ახლა წამით დავუშვათ, რომ სავაჭრო ქსელში სრული
წესრიგი იყოს! — აი, სწორედ მაშინ უნდა ნახოთ უწეს-
რიგობა!..
ვთქვათ, რომელიმე მაღაზიაში, უცებ, დახლზე გაჩნდა
სამამულო თუ უცხოური წარმოების დეფიციტური საქო-
ნელი, მაგალითად, საპონი. ჩემს მტერს, რაც იქ დატრიალ-
დებოდა: დედა შვილს არ დაინდობდა, ცოცხლად შეჭამ-
დნენ ერთმანეთს!.. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო
ადამიანის ცოდვას აიკიდებდა რიგითი, პატიოსანი დახ-
ლის მუშაკი!.. საპონი ხომ ყველას ერთნაირად სჭირდება,
დიდსა თუ პატარას, ჰიგიენა ხომ სიცოცხლის გარან-
ტიაა?! რაღა საპნის რიგში დაგილევია სული და რაღა
უსაპნობით გაჩენილი შავი ჭირისგან?! უმჯობესია, სი-
ცოცხლისათვის ბრძოლაში მოკვდე, ვიდრე მორჩილად
ელოდო აღსასრულის დღეს!

კიდევ კარგი, ვაჭრობის მუშაკებმაც მშვენივრად იცი-
ან თავიანთი საქმის ავანჩავანი და სასურველი ფერის
ძაფსაც კი ვერ იშოვით მაღაზიებში!
ასე რომ, ყველაფერი ხელზე იყიდება, სიცოცხლის
ყოველგვარი განწირვის გარეშე!
მადლობა ღმერთს, არც განათლების სისტემაა გამო-
ნაკლისი ამ მხრივ: აქაც, ღვთის წყალობით, ყველაფერი
თავდაყირა დგას, სკოლა სკოლას არა ჰგავს და მასწავ-
ლებელი — მასწავლებელს. მოსწავლე მოსწავლეს ხომ
არა ჰგავს და არა ჰგავს!..
კიდევ კარგი, რომ სკოლა არ აძლევს მოსწავლეს
ცოდნის მინიმუმსაც კი, თორემ რა ეშველებოდათ ამდენ
მასწავლებელს, ლექტორს, მეცნიერ მუშაკს, რომლებიც
მთელი ცხოვრება, აბიტურიენტთა მშობლების ხელებს
შეჰყურებენ?!
მადლობა ღმერთს, რომ ჩვენთან არსებულ უფასო
სამედიცინო მომსახურებას არად დაგიდევენ მედიცინის
მუშაკები, თორემ საავადმყოფოში, მკურნალობას ვინ ჩი-
ვის, ავადმყოფს ვირთხა შეჭამდა და ბუნებრივი სიკვდი-
ლი სანატრელი გაუხდებოდა!..
ან რა გვეშველებოდა, წამლებს რომ სპეკულანტები
არ ყიდდნენ?! სად იშოვიდა მომაკვდავი ავადმყოფის
პატრონი ამა თუ იმ წამალს?! ვინც ფეხზე დგას, იმათგან
ნახევარი საიქიოს იქნებოდა გასტუმრებული!..
ახლა საყოფაცხოვრებო მომსახურების რომელიმე
სფეროში შევიხედოთ! მადლობა ღმერთს, ყველგან ერთი
მეორეზე უარესი უწესრიგობაა! უფრო მეტიც, უ წ ე ს-
რ ი გ ო ბ ა მიახლოებითაც კი ვერ გამოხატავს იმას, რაც
სინამდვილეში იქ ხდება! ქართულ ენაში არ მოიძებნება
სიტყვა, რომელსაც შეეძლოს მისი გადმოცემა!
სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ სფეროში
საწუწუნო არაფერი გვაქვს!
ყველაფერს რომ შევეშვათ, სახელმწიფოს მიერ და-
დგენილი ფასებით საპარიკმახეროშიც ვერ შეხვიდოდით,
და თუ მაინც შეხვიდოდით, არ მინდა ახლა იმის წარმო-
დგენა, თუ როგორ გამოხვიდოდით იქიდან!..
კიდევ კარგი, საგეგმო კომიტეტმა ძირშივე აულო
ალღო ყოველივეს და მანდ თავსა და ბოლოს ვერ უპოვის
კაცი ვერაფერს! აბა, წარმოიდგინეთ, გეგმის მიხედვით
სრულდებოდეს ყველაფერი! ხომ დავიღუპებოდით
მაშინ?!.
უბრალო მაგალითი ავიღოთ: ვთქვათ, გეგმის მიხედ-
ვით მართლა მოიკრიფა ჩაი! რა ქნან მაშინ ოციან წლებ-
ში აშენებულმა ჩაის ფაბრიკებმა, რომელთა არც რიცხვი
გაზრდილა და არც სიმძლავრე?! ჩაის კრეფის გეგმა ხომ
რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება!..
კიდევ კარგი, ათასგვარი მაქინაციებით გეგმა მხო-
ლოდ ქაღალდზე სრულდება, თორემ ტონობით ჩაი და
მასზე დახარჯული დრო და ენერგია წყალში გადასაყრე-
ლი შეგვექნებოდა!
თუ დაფიქრებიხართ იმას, რამდენი სიკეთე მოაქვს
არარიტმულ მუშაობას ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფე-
როში? თუნდაც ის შეუმჩნეველი ფაქტი, რომ განრიგით

არ დადის რკინიგზის არც ერთი სამგზავრო თუ საბაგირო შემადგენლობა, რამხელა სიკეთეა მთელი ჩვენი ქვეყნისთვის! აბა, წამით დაუშვით, რომ განრიგით გავიდეს ესა თუ ის მატარებელი ამა თუ იმ სადგურიდან და ნახავთ, როგორ აირევა ყველაფერი!..

ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, რა გვეშველებოდა, ასე რომ არ იყოს ირგვლივ აყვავებული სხვადასხვაგვარი ნეგატიური მოვლენა: კორუფცია, მექრთამეობა, ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი, ქურდობა, მაამებლობა, ძმაბიჭობა, ნათლიმამობა?.. მაშინ ხომ ყველა უმუშევარი ვიქნებოდით, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურში ვინ მიგვიღებდა?!.

გამჩენის ჭირიმე, რომ ირგვლივ ყველაფერი თავდაყირა დგას, სრული უსამართლობა, უკანონობა, განუკითხაობა და გულგრილობაა, თორემ რა ეშველებოდა[illegible] სამართლისა და კანონის ამდენ დამცველს?!.

თვით საკანონმდებლო და სამართალდამცავ ორგანოებში სამართალი და კანონი რომ სუფევდეს, მაგალითად, ხელფასზე იყოს თითოეული მუშაკის ბედი დამოკიდებული, მაშინ საზოგადოების ამ სფეროს სათოფეზე არ გაეკარებოდა არავინ!..

ბოლოს წარმოიდგინეთ ჩვენი ცხოვრება საკანონმდებლო და სამართალდამცავი ორგანოების გარეშე: ახლა რა მდგომარეობაა და მაშინ რა იქნება?!

ნახ. ბ. ჭუბაშვილისა

ნუ გამოვიწვევთ!

მე ერთ სიმართლეს ვიტყვი და ნურავის გაუკვირდება:
მკვდარსა ქვა-რკინად ქცეულსა დაცვა აღარა სჭირდება!

„არც კაი ბოლო იმათ აქვთ, ვინც ერთურთს აუხირდება!“
იმას მივხედოთ, მამულში ძმათმკვლელობა რომ
ხშირდება!

ჩვენ მუდამ კერპებს ვიცავდით (დღესაც მავანთ
ვზრდით კერპებად!),
ამიტომ ღვთის სამსჯავროზე მკაცრი სასჯელიც
გვერგება!

ვისა, სხვას ვის დავაბრალოთ ჩვენი მარცხი და ზიანი?! —
კერპებზე ვლოცულობდით და დავკარგეთ
ადამიანი!..

დასაკარგავში კი არა, აგერ ჩვენსავე მამულში
წინაპრის სული დავკარგეთ, დავკარგეთ სინდის-ნამუსი!

ბელადობანას თამაშით დღესაც ისევ ვართ
გართული
და გვავიწყდება, რომ უკვე სულს ლაფავს აზრი
ქართული!..

გახსოვთ, ბავშვმა რომ დაწერა: **„ვარდს გაეშალა
კოკორი...“**, —
ქართველი იყო ის ბავშვი, მხეცი გაზარდეს როგორი!..

მოსაწონია, რომ მოგვდგამს სიქველე, გულგაფიცხება,
იქ დგომა, სიკვდილ-სიცოცხლის სამანები რომ იწყება,
„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“, — ესეც ნუ
დაგვავიწყდება!

**„ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და
ცნობილი“,
რამეთუ ქებულ სიჩქარეს სჯობსო სიწყნარე გმობილი!**

„ზოგჯერ ოქმა სჯობს“-ო, ის „ზოგჯერ“ არ უნდა
გამოგვეპაროს,
თუ გვინდა, ჩვენი მფარველი ღვთისმშობლის კალთა
გვეფაროს!

ბრძოლას თუ იწყებ, იცოდე უჟამობა და ჟამია,
„აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია!..“

თუ გამიგონებთ, ეს არის მამაპაპური მცნებაო:
**გიუს მიეც იმის ნებაო, თვით შეიყაროს ხნებაო!
ხენით შეპყრობილს ჭკვიანი დუელში არ გაჰყვებაო!
რად შეაკვდება, თუ ხედავს, მტერი თავისით კვდებაო?!**

**ვაჟნო, უჟამოდ არა ხამს ხელის დადება ხმალზედა!
ნუ გამოვიწვევთ! ისედაც მტერნი არიან შარზედა!
ნუ მივცემთ იმის საბაბსა, მეხი გავარდეს დარზედა!
ნუ გავცვლით თავის ცოცხლებსა მაგათ ქვადქცეულ
მკვდარზედა!**

ალექსი ჭინჭარაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვატერლოოს ხიდი

ნოველა

დაბადების დ ღ ე ს იხდიდეს სადღეგრძელო და, თუ შენ სასძლო ხარ ოჯახისა, გულმა როგორ გაგიძლოს, რომ არ გამოჩნდე მეჯლისზე ისეთი, რომ ვერავინ გაგაბათილოს?!.

„სვეტობას“ არაფერი „უტეხავდა“ ნათიას — არც კაბა, არც ფეხსაცმელი და არც ვარცხნილობა, არც საცხოვრებელი ადგილი და არც გვარიშვილობა. ცხოვრობდა ვაკეში, შუაგულ ბარნოვზე და ჰყავდა მამა — არაფრით ნაკლები არც გრაფსა და არც ბარონზე.

საქმრო კი ცხოვრობდა საბურთალოზე, ჰყავდა მშობლები დამოუკიდებელნი კარაქისა და შაქრის ტალონზე, ჰქონდათ „ლევი“ გზები შემოსავლებისა და უშრეტი პოტენცია დოვლათის გამრავლებისა.

ჰქონდათ აპარტამენტები, პრიმა ვიდეო... ჰქონდათ მოვლილი პარიზი, მადრიდი, ნიცა, მონტევიდეო...

თვითონ, მართალია, ცხოვრობდნენ საბურთალოზე, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდათ „ოჩერედზე“, ყველის ტალონზე.

სუფრაზეც იგრძნობოდა ხორაგეულის სიუხვე, რაიც მოწმობდა ოჯახის გაძვრომ-გამოძვრომაში დიდ სიჩაუქეს.

ხოლო დაბადების დღეს იხდიდა სადღეგრძელო და იდგა ჟამი ორმხრივი ინტერესისა — ვინ ვინ „დასმოტროს“, ვინ ვინ „დათიროს“.

ერთ აპარტამენტში მთელის ბრწყინვალებით მოეწყოთ ვიდეობარი, იქ ირეოდა ყველა ნორჩი „სვეტი“ სტუმარი.

ცალკე დარბაზში უკრავდა ჯაზ-ბანდი, ისმოდა როკ-მუსიკა, იცვლებოდა ვიდეოკასეტები, გადიოდნენ ერთნი, შემოდიოდნენ სხვა „სვეტები“.

კარისა და ფანჯრების ღიობებს შვენოდა ლამბრეკენი და იდგა იქ ახლოს ნათია, ვითა კოპწია მანეკენი.

იცოდა ნათიამ ყველა ცეკვა სამეჯლისო, მაგრამ ვერ გაჰყვებოდა მეწყვილედ ვინმე ჯაგლაგს და უჯიშოს.

კრძალვით ელოდა ღირსეული კავალრის გაწვევას, სხვა გოგოებივით არ კადრულობდა „მარლბოროს“ წევას.

ორკესტრმა ძველი ცეკვების გაიხსენა მოდა: მოისმა პავანა, მერე კი კურანტა, გალიარდა, ვოლტა...

ხოლო, როცა ჩათავდა პოლონეზი და დაიწყო გავოტი, ნათიას წინ შედგა ჰაბუკი წვერცანცარა, ვითარცა ბოტი. მასთან იცეკვა ოჯახის სასძლომ მაზურკაც, ფოქსტროტიც.

ეს იყო ნათიას მომავალი მაზლი, წარმოშობით, ვითა მამამისი, იყო ბანძელი და ალბათ ამიტომაც ერქვა სახელად ბაზელი.

ხოლო უნაკლოდ კავალრობდა ნათიას ბაზელი, ცეკვის შემდეგ დაღლილს მარდად შესთავაზა სავარძელი, კონიაკით შეუვსო სირჩა და ლამბაქზე გადმოუდო ნამცხვარი — „გირჩა“. სადღაც სიგარეტიც გააჩინა ხელად და ნათიას ცხვირთან მიუტანა ბენზინის სანთებელა.

ვერ შეძლო ნათიამ დაეცვა მეჯლისის ეტიკეტი, არ ინდომა არცა კონიაკი, არცა სიგარეტი.

ამ დროს გამოჩნდა ნახევრად შიშველი ასული ერთი, სახელად ჩარიტა, და უმალ იქცა მეჯლისის ფავორიტად. ცეკვის შემდეგ ჰაბუკებთან იდგნენ და კონიაკს ხუხავდნენ ჩარიტა და მეორე შიშველი გოგო სახელად პისტი. სიგარეტები გააბოლეს, მერე მუსიკა შეცვალეს და ტანის ავხორცული მოძრაობებით იცეკვეს კანკანი, ტვისტი...

ხოლო მათთან მოცეკვავე ბაზელის სამკლავეზე ნათიამ შენიშნა რაღაცა ემბლემა და ჰგავდა იგი ემბლემა უცხო რამ დიადემას.

— შენთან ახლა საცეკვაოდ მოვა ჩვენი ბოლოლა ძმა შალო, მეშინია, მასთან არაფერი შეგეშალოს! — უთხრა ნათიას ბაზელმა და თვალებში ჩახედა, როგორც გამომცდელმა, — კონოს თუ არ სვამ, იქნებ შამპო მაინც ჰიგერთმია, დედა შიშობს, ან გულს ხომ არ უჩივისო, ანდა კიდეკ არითმიას?! აბა, მიდი, იმედი მაქვს, არაფერი შეგეშლება, როგორც სარძლო, არ შეგვირცხვენ ამ ემბლემას!..

— არა, არაფერი შემეშლება, მაგრამ რომ არ ვიცი, რა ღირსებებს გულისხმობს ეგ ემბლემა? — სარძლომ ბაზელის გაკვირვებულ მზერას ველარ გაუძლო.

ხოლო ემბლემაზე ოქროს ასოებით ეწერა: „ს ა დ ა“. მისი ამოკითხვა ნათიას გულით გაუხარდა.

— სისადავისაკენ მოუწოდებთ?!. რა ვიცი, იქნებ კიდეც გმობდეთ?!.

— თითქმის სწორად ამოიცანით. „ს ა დ ა“ იკითხება, როგორც **ს ა**მოთხეში **დ ა**ბრუნება, რაც უაღრესად ესადაგება ადამიანის ბუნებას... აქეთაა მიმართული ჩვენი გულისხმევა, რომ სამოთხეში დავაბრუნოთ ადამი და ევა, ოღონდ ორივე უნდა იყოს დედიშობილა, რომ თავი იგრძნონ პირველყოფილად! ჩვენ ახლა, ამ წუთას, დაახლოებით გადამწყვეტ ეტაპს ვუახლოვდებით, კანკანის შემდეგ იწყება ცეკვა ლამბადა, აგერ უკვე ტანზე იხდის ჩემი საცოლე ლავანდა!..

„იმედი მაქვს, არ შეარცხვენთ ამ ემბლემას!“ — ბაზელის ამ სიტყვებმა ნათიას ვერ მოჰგვარა თვითგვემა, ოღონდ ერთი ფილმი მოაგონა...

„ვატერლოოს ხიდი“ ერქვა იმ ფილმს, შინაარსიც გაიხსენა: ჰაბუკს ომში მიაცილებს ლამაზი საცოლე, თვითონ კი მარტო რჩება აფორიაქებულ ქალაქში. გაჭირვებას, დუხჭირ ცხოვრებას სიყვარული ათმენინებს ასულს და ომიც თითქოს უახლოვდება დასასრულს. მაგრამ ომში დაღუპულთა სიებში საქმროს გვარს ნახულობს, მომდევნო დღეებში მას გლოვობს, შიმშილობს, მარხულობს, ეძარცვება სამოსი, ატლასი ქამხა, ეცემა სულით, ხდება ქუჩის კახპა!.. მთავრდება ომი და ჩვეულებრივ საშოვარზე გასული, თავის საქმროს გადაეყრება ბედკრული ასული!..

საგვარეულო ციხე-დარბაზში იმართება ქორწილი, ილიმება საქმრო, ყველასაგან დალოცვილი. მხიარული ცეცხლები ერდოებზე ფეთქავს, პატარძალთან საქმროს ბერი ბიძა ცეკვავს. პატარძლის პატრონსნების მოიმედე, ის ეუბნება ამ სიტყვებს და თან ემბლემაზე დაახედებს.

ქალში მძაფრად გაიღვიძა სინდისის ქენჯნამ და სიყვარულს ტანჯულს სწრაფად გაემიჯნა — გაიქცა, მაგრამ ცოდვას სად გაექცეოდა, სადამდე ივლიდა? დაუფიქრებლად გადავარდა ვატერლოოს ხიდიდან!..

ნათია ფიქრებიდან გამოერკვა და ყური მიუგდო მუსიკას, სრულდებოდა რაღაცა ცეკვა, გონებაში მთლად გადაჩხრიკა მთელი ფონოთეკა, მაგრამ ვერ მიაკვლია მის სახელს, გრძნობდა კი კლასიკურიდან რაღაცა გადახრებს. არა, ეს არ იყო არც რუმბა, არც ვალსი, არც კონტრადანსი და არც ბრეიკი, ცეკვას იწყებდა ტანშიშველი ვიღაც შვეიკი!..

„თუ ღმერთმა არა მონად, თავისუფალ ადამიანად დაგბადა, უნდა დაუბრუნდე დაკარგულ სამოთხეს, უნდა იცეკვო ლამბადა!“ — მუსიკის რიტმს ასდევნებოდა ვიღაცის მსუყე ბარიტონი.

ტანშიშველი გოგოები და ამოსაკვრელისამარა ჰაბუკები შეჭრელებით დგებოდნენ გრძელ რიგში...

იჭექა მუსიკამ და ურცხვი მოძრაობებით გაიხლანკა რიგი და სერპანტინივით იწყო ქროლვა-სრიალი უცხო, ცვალებადი რიტმების მთელი სერიალით. გოგოს, ბიჭს ერთმანეთის თეძოებზე ეწყოთ ხელები, მიტოკავდნენ, მიქაქუნებდნენ სხვა გახელებით!..

ნათიამ გაიხედა, თვალებით მოჩხრიკა თავისი საქმრო და დაინახა, რომ ორ გავასქელ გოგოს შუა იდგა მისი ზაქრო. იდგა კი არა, ცეკვა უკვე დაეწყო, სექსუალურად წინ წახრილს ხელები ქერა გოგოს შიშველ თეძოებზე ეწყო!.. მიირწეოდა, მიქაქუნებდა, მამრი მდედრს კარზე უკაკუნებდა!..

გარეთ გამოვარდა ნათია და გზას დაადგა აღმართიანს. იდგა ქარიანი და ცივი ამინდი, იარა და თვითონაც ვერ გაიგო, მის ფეხქვეშ როგორ გაჩნდა ხიდი!..

გადაიხარა, გადაეკიდა მოაჯირზე, რათა გადაქანებულიყო და თავი მოეკლა ზაქროს ჯიბრზე!..

მაგრამ მტკვარი იყო ცივი, ჰუჰყიანი და თანაც მყრალი, ნათიას შეენანა თავისი თეთრი კაბა და ქალწულის უბიწო თავშალი!..

აქ ნათია თავისდაუნებურად გაბრაზდა, ხიდი გადაიარა და გათოშილი მუშტი დაუქნია ლამბადას.

ელგუჯა მერაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაფია — გლეხის ენაზე

ბილიკზე შეხვედრილან, ყორეზე დაყრდნობილან,
გულუხვად ანდობენ ერთმანეთს ხვაშიადს:
— თურმე სამართალი არც ჩვენთან ყოფილა,
ორ-სამ კაცს რას ერჩი, აქ საქმე სხვაშია!
მე თუ მკითხავ, ძმაო, ასე მიმაჩნია,
ბევრი მაქვს ნანახი, ბევრი მაქვს ნაგემარი,
მაფია? საძებარი იტალიაშია,
ჩვენთან, აბა, ის არცაა საძებარი!
და თუ იქ არ იცი, ვინ არის მაფიოზი,
არ იცი, ვინ გასწავლის, არ იცი, რა იპოვეს,
ჩვენთან ა, ბატონო, კანონით ტახტზე რომ ზის,
პირველი მდივანია პარტიის რაიკომის!

გლეხკაცს „საქმე" გაუჩინეს, ლექციები უკითხეს,
ათასი რამ ჩასჩიჩინეს ამ კიდეს და იმ კიდეს,
დედამიწის სიმრგვალეზე სანამ რამეს ეტყოდნენ, —
ერთი მაგის პატრონიცა!.. მე ეგ ბრტყელიც მეყოფა,
თუ არ მშველი, მომწყდი მაინც, ვილაც ოხერტიალო!
მე სახნავად მინდა, თორე, განა ხაკოტრიალოდ?!.

თემურ მიქაუტიძე,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

ბიუროკრატიული ნანინა

ნანა, შვილო, ნანინა, ნეტა რამ შეგაშინა?
დაგიკოცნი ყანყრატოს, პაწა ბიუროკრატო!
მამაშენი, ხომ იცი, შვილო, დიდი კაცია,
სულ ტყუილად უწოდეს მას ფულების ტაცია!
მოიტაცოს — რას ჰქვია?! ასე გაუჭირდება?!
მასთან მოაქვთ ფულები, დათვლაც კი არ სჭირდება!
შენ საბავშვო ბაღში ივლი სახელმწიფო მანქანით,
დაე, 'სხვებმა ატეხონ ყაყანი და ქაქანი! —
ამას არად ჩავაგდებთ, გვაქვს იმდენი შეგნება,
იქ სასმელი, საჭმელი სულ სხვაგვარი გექნება!
მერე, წახვალ სკოლაში, დაგესევა „ხუთები",
დაგიწერენ მამიკოს ხათრით განსაკუთრებით!
დაურეკავს მამილო თინიკოს და ილიკოს,
ატესტატი ნაქები შინ მოგივა, შვილიკო!
მერე კი უმაღლესში მოსაწყობად წაგიყვანთ,
გამოცდის ჩაბარებას შენ ვერ შეუთავსდები,
ვიცი, ბევრი თავის შვილს უკანვე წამოიყვანს,
შენ კი ჩაირიცხები ჩაწყობილი დასტებით!
მშვიდად იყავ, ამაზე არაფერმა გადარდოს,
დაგიკოცნი ყანყრატოს, ჩემო ბიუროკრატო!
დიპლომს რომ ჩამოიტან, ის დღე ღმერთმა მაღირსოს!
მამაშენი კი გეტყვის, — მანდ მოწყობა არ ღირსო!
რაიკომში, ოლქკომში, ქალაქკომში იქნები,
მშვიდად იყავ, ამაზე ნუ დაგტანჯავს ფიქრები!
შენთან მუშამ შემოსვლა მოინდომოს იქნება,
შენ სამ დღეს ალოდინე, — დღეს არ მაქვს-თქო მიღება!
გრძლად დაგიწყებს ლაპარაკს, შენ კი ეტყვი მას: „კრატკო!"
ასე! აბა, შენ იცი, ჩემო ბიუროკრატო!
ყველას მოეწონება იქ შენი ლაპარაკი,
მანქანები, ბინები, სულ მუქთად აგარაკი,
შიში მოკლავს იმ შენი ტელეფონის გამგონეს,
უფასოდ მოგართმევენ დეფიციტურ საქონელს!
სხვებმა უნდა ეძებონ, მძიარონ რიგები,
შენ კი სახლში მოგივა, სულ ყელამდე იქნები!
ქალაქკომში, ოლქკომში თუ ვინმეს შეზარდები
(უი, იქაც საკმაოდ სხედან არამზადები!),
თუ დაგჯაბნონ, ამაზეც ნუ დაგტანჯავს ფიქრები,
აქეთ გამოგიშვებენ, დირექტორი იქნები!..
აბა, შრომა რად გინდა, ან — ქარხანა, ან — ყანა?!
შენისთანებისათვის გაჩენილა ქვეყანა!
ნუ იცინი, სწორს ვამბობ, ნეტა, რას იკრიჭები?!
გამოგიჩნდა, დაგშვენდა პაწაწინა კბილები!
მშვიდად იყავ, იძინე, არაფერმა გადარდოს,
დაგიკოცნი ყანყრატოს, ჩემო ბიუროკრატო!

შოთა როყვა

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— ბავშვებო! ადრე ამ შენობაში მხატვრის სახელოსნო იყო, მერე —მუზეუმი!.. ახლა კი შესვლა 200 მანეთი ღირს!..

ფრაზები

● ურუ რომ არა ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სმენა გაქვს!
● შენი თავი რომ მოგწონს, ეს არ კმარა იმისთვის, რომ სხვა დაიწუნო!
● გარდაქმნის მჭადაგებელი „ვრემიისათვისაც" დადგა გარდაქმნის დრო!
● ცხენის წელო, გევედრებით, შენ ჩამოგვაცილე უველა ვირი!
● ხელმა ხელი დაბანა, თუმცა ჭუჭყი ვერ გააცალა უსაპნობის გამო!
● კარგი ხარი სახრეს არ დაიკრავს, მაგრამ ხარის პატრონსაც გააჩნია!
● ძროამი ჯოჯოხეთს კი ანათებს, მაგრამ სამოთხეს აბნელებს!
● „ჯერ მწარე ჰამე, კვლავ ტკბილი", მაგრამ შაქარი რომ არ იშოვება?

რომან ზუკაკიშვილი
(საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული).

ნახ. ჯ. ლოლუასი

— რაც სოციალისტური საკუთრება იყო, დაიტაცეს და ესენი რაღას ებრძვიან, ვერ გავიგე!



ნახ. ვ. პეტრიაშვილისა

უსიტყვოდ

ფელეტონი

ამ იფორიაქებულ დროში მგზავრობის სიმძიმე ვის გაუკვირდება, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება რკინიგზას!.. მაგრამ ორმაგად აუტანელია გზის დასაწყისშივე დაწყებული და ბოლომდე გაყოლილი უსიამოვნება!..

აქ მოთხრობილი ამბავიც სწორედ ასეთ უსიხარულო მოგზაურობას, უფრო სწორად — ჩვეულებრივ ყოველდღიურობად ქცეულ სინამდვილეს ამხელს.

გულის გამხარებელი?!.

იმ საღამოს, ანუ მიმდინარე წლის 29 მარტს, მატარებელი „ზუგდიდი-თბილისი" სადგურიდან ერთი საათით გვიან გავიდა.

— რა მოხდა?! — იკითხეს გულდათუთქულმა მგზავრებმა.

— ელმავალმა დააგვიანა სამტრედიიდან! — იელვა გამცილებელმა.

— რაღა გვეშველება, დილით კოლეგიაზე ვერ მივუსწრებთ! — შეწუხდა საჩქაროდ მივლინებული მანდილოსანი.

— პარასკევი მაინც არ იყოს ხვალ, რამდენი საქმეა!.. — თანაუგრძნო კოლეგამ.

— პირველად ხომ არ მიბრძანდებით, როდის ჩასულა გრაფიკით? — უკვირს მშვიდ თანამგზავრს.

— აბა, არაა საშველი! — ირონიულად ორაზროვნებს ჰარმაგი კაცი.

— ნუ ჯავრობთ, ასე ჩქარა გარეკავს და ჩამორჩენაც გასწორდება! — გვაიმედებს ერთი ოპტიმისტი.

და დაგვიანებული მატარებელი მიისწრაფვის გრუხუნ-გრუხუნით, ხათქახუთქით!.. ჩვენი ვაგონიც, რომელსაც „ესვე"-ს (სპალნი ვაგონ) ეძახიან, იგივე რბილი, იგივე საერთაშორისო (საინტერესოა, რისთვის და როდის უწოდეს?) სხვა ვაგონებზე ნაკლებად რომ უნდა ინჯღრეოდეს, უმოწყალოდ მიგვაქანებს დგანდგარით, ღრჭიალით, გარდიგარდმო ხტუნვა-ძიგძიგით!..

გამაბრუებელ კაკაფონიურ რიტმში უცებ მთელი ვაგონი გამოცოცხლდა, აზმაურდა, აქირქილდა:

— არ დაინგრეს ეს საოხრე!

— რა იცი, მითთაქამინდელი რონოდებია!

— ცოტა უკეთესი არ უნდა იყოს „ესვე"?

— კი მარა, რაცაა, დარწმუნდებით დღესვე!

— ბილეთის ფასი ხომ ორმაგია?

— ორადგილიანია და მიტომ!..

— „მიქრის მატარებელი, გულის გამხარებელი..."

— ოჰო, პოეტიც გვყოლია!

— ძველი ფირფიტაა! — იკბინება ვიღაც.

— „მთები აჰრელდა, როგორც ქირაფი, მატარებელი მიქრის ბინდებად!"

— აი, ეს კი მესმის! გალაკტიონი გენიალურია!

— კმარა, დავიძინოთ!

— რა დროს ძილია, შე კაცო?!

— არა, ბიჭო, აბა, თეთრად გავათევ ლექსებზე!

— „ცხოვრების ეტლის სადარებელი, საცაა, გავა მატარებელი". — არ ისვენებს პოეზიის ტრფიალი.

— გასულია და ეგაა, არ დათარსოთ!

— გალაკტიონის შთაგონების გამომწვევი მატარებელი არ იქნებოდა ასეთი უხეირო!

— ზუსტი შენიშვნაა!

— არც დაგვიანებები იქნებოდა იმ დროს!

— ბუფეტიც იქნებოდა, თუნდაც უთავბოლო ჯანჯღარშიც არ მოიწყენდი ალბათ!

— იმავე ლექსშია მგონი: „ჩვენი ცხოვრების გამდარებელი, სულ ჩქარა გავა მატარებელი".

— რას ჩააცივდით ამ გავა-გავას?! მიდის და დააცადეთ! დიმაძინეთ!

— გამდარებელი კი არა, მაავდრებელია ეს დაწყევლილი!

— გავჩერდით სადღაც!..

— დადგება აწი კოხიას ჯორივით!

— იმდენი იძახეთ გასვლაზე, ეხვეწეთ აწი უფალ-ღმერთს!

— „მატარებელი თვლემს, როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა".

— ნუ გადამრიეთ ამაღამ მე თქვენ! რა გააწყალეთ გული ამ ლექსებით?!

— ასე იდგება, სანამ შემხვედრს ან უკან მომყოლს არ გაატარებს!

—რაღა მაინცდამაინც ამან გაატაროს ყოველთვის?!

— ნამეტანი ზრდილობიანი „პოეზდია" და მიტომ!

— რას ჩააცივდით ამ საწყალს, რომელი მატარებელი მოძრაობს დღეს ნორმალურად?! — იქუხა შემადგენლობის ბრიგადირმა.

— ჭეშმარიტებაა: საკავშირო მიმოსვლის გრაფიკიც სულ არეულ-დარეულია!

— მოითმინეთ, დაელოდეთ გარდაქმნას, ყველაფერი მოწესრიგდება!

— არაფერი ეშველება რკინიგზას, წყალი ვერ დაგვილევია ვაგონში!..

უცხო მოზაიკა

— დიდუბემდე მოვსულვართ! — ელდანაცემივით წამოხტა გვიან ჩაძინებული, ნაწვალები თანამგზავრი.

— რა გახარებს, ორი საათია დაგვიანება!

— არც აქედან იძვრის?

— მერე ქალაქში შესვლაც უჭირს დაბორკილივით!

— ჩასვლა სჯობს, აქვე მეტროცაა, ტაქსებიც! — მორიდებით გვირჩევს გამცილებელი ქალი.

— დიდუუ, დიდუბე?! — მოისმა ახალგამოღვიძებულის ბოხი ხმა.

— გაპარსვას მოვასწრებთ?

— ჩამრთველები მოშლილია!

— აგერ, აქ ჩართეთ! — გვშველის ბრიგადირი.

— სარკე?

— სად გაქრა სარკეები?!

— აბა, ეგ რო ვიცოდე!..

— სარკე რად გინდათ, ეს იშვიათი მოზაიკა არ კმარა? — გაგვილიმა ქალიშვილმა.

მტვრის, გამონაბოლქვისა და ნალექების ნაზავით გულისამრევად გათითხნილი სარკმლების მინებს ისე დავაცქერდით, თითქოს პირველად გვქონოდა ნანახი.

სველი „ესვე"

თბილისიდან, ღამით, იგივე შემადგენლობა მხოლოდ ათი წუთის დაგვიანებით დაიძრა. ისევ რბილ ვაგონში ვართ. მცხეთის შემდეგ თეთრეული ჩამოარიგეს.

— დავისვენოთ? — მეკითხება თანაკუპელი.

— როგორც გნებავთ! შეგიძლიათ!

— უი, სველი ყოფილა!

— რა?

— გაშალე და ნახავ!

ოთხკუთხად გაკეცილ ქვეშაგებზე ხელი მოვაფათურე:

— მართლაც დანამულივითაა!

— ყველა ასეთია?

— ყველა, მთელი „ესვე" სველია!

— ბავშვი გამიცივდება!

— გაუხდელად დააწვინეთ!

— თებერვალში „თბილისი-სუხუმის" ასეთივე ვაგონით მოვემგზავრებოდი, — იგონებს თანმხლები პირი, — ეგეთი დალტობილი ზეწრები მოგვიტანეს. ბედად, ვაგონი ისე იყო გახურებული, გავშალეთ და ორიოდე საათში გამოშრა.

— არიქა, არ გეიგონ, ნახშირი არ ჩაუმატონ, ისედაც ცხელა!

— ნუ ჯავრობთ, შემოგვაშრება ტანზე!

— კი, შეგვაშრება და ჩვენც გავნელდებით!

— რამ აგალელვათ. უარეს დღეში არა ვართ?! — შემოგვჩივლა სხვა ვაგონიდან უცხოპლანეტელივით შეუმჩნევლად მოვლენილმა.

— უარესი რა იქნება?

— ჩვენთან ქვეშაგები არც მშრალია და არც თეთრი, შავია თითქმის!

— ასე იქნება! — გამახსენდა უცებ, თუ რამდენჯერ გავხვეულვარ ზიზღისმომგვრელ, გაცვეთილ, დანესტიანებულ „შავეულში"!

— ვარესის ვარესს რა გამოლევს, ბიძიკო?! რავარც მჯობნის მჯობნი არ დაილევა!.. — მჭევრმეტყველებს მანამდე უსიტყვოდ მჯდარი თეთრწვერა და ტკბილ ძილს გვისურვებს.

ტანჯვის დასასრული

— რომელი სადგურია?

— მგონი, ქოლობანია, საათზე მეტია დგას! — შემომესმა დილაუთენია ძილბურანში.

— აბაშამდე მაინც მითრეულიყო. გავყვებოდი სენაკამდე ავტობუსს!

— რვა საათი ხდება, ამ დროს ზუგდიდს მიახლოებული უნდა ვიყოთ! — ვფიქრობ და ორი ულიმღამო, მტანჯველი ღამის ეპიზოდები ირევა ნჯღრევისაგან და უძილობისაგან დამძიმებულ თავში.

ხობის გავლის შემდეგ, სოფელ ხეთაში კიდევ ერთ საათს დადუმდა მატარებელი, სოფელ ცაცხვთანაც მოგვშხამა და, როგორც იქნა, ზუგდიდის ვაგზალს თორმეტის ნახევარზე მიადგა. უხალისოდ ჩადიოდნენ ვაგონებიდან სასოწარკვეთილი, ულონო, სამუშაოზე და ოჯახში მოჩქარე, უძილარი მგზავრები!.. მათ სევდიან გამომეტყველებაში ნათლად იკითხებოდა, რომ „ზუგდიდი-თბილისის" თუ სხვა მატარებლებთან დაკავშირებული რიგი უსიამოვნებანი თითქოს ერთ მთლიან საზოგადოებრივ სადარდებლად, მძიმე სნეულებად ქცეულიყო!..

ჩვენ კი ერთხელ კიდევ გაგვიჩნდა ყველასათვის მტკივნეული, საჭირბოროტო კითხვა: რას ფიქრობენ და რა გზებს სახავენ ამ საერთო სენის საკურნებლად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მესვეურები და შესაბამისი სამსახურები?

ანზორ ბარამია,
„ნიანგის" კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

მგზავრისა და ტაქსის მძღოლის გაშარება

— ტაქსო, შეჩერდი ერთ წამსა!
— არ მინდა!
— საბურთალოში მივდივარ!
— არ მინდა!
— ვაკეში რომ წამიყვანო?
— არ მინდა!
— ან ვერაზე, ან ზემელზე?..
— არ მინდა!
არ მინდა, რას ჩამაცივდი?!
არ მინდა!
— მაშინ, იქნებ,
თვითონ მითხრა, რა გინდა?
— გლდანი, ვარკეთილი მინდა,
მთაწმინდა!..

ლილი მაისურაძე-მორგოშია

ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ცაბაცაძე

თანამედროვე ყვარყვარე

ეს კაცი როგორ შეცვლილა
გარდაქმნა-რევოლუციით! —
სულ დაბღვერილი რომ იყო,
ახლა სახე სულ უცინის,
შავ „ვოლგაზე“ თქვა უარი,
თეთრში გადაჯდა შავიდან,
მე თვითონ ვნახე, — მესამე
სართულზე ფეხით ავიდა,
ჰალსტუხსაც აღარ იკეთებს,
სადად, უბრალოდ აცვია,
ვერ იტყვი, — ჩინოვნიკია,
ერთი უბრალო კაცია,
ზოგჯერ მიტინგზეც თავს იჩენს,
როგორც შეჰფერის პატრიოტს,
ბიუროკრატის სახელი,
აბა, სადამდე ათრიოს?!.
ქუჩაშიც ნახავთ, ბაზარშიც,
ზოგჯერ რიგშიც დგას
სხვებივით,
სალამს ვერავინ დაასწრებს,
ხალხს არ უყვირის ცხვრებივით.
გადემოკრატდა, გაკარგდა,
ხმაც შეიცვალა, იერიც,
სულ მალე ჩინოვნიკებზე
თვითონ მიიტანს იერიშს!
შესანიშნავად მოირგო
მან ერისკაცის ნიღაბი,
აქა-იქ უკვე გაისმის:
„გვწამდა, სულ ჩვენთან იყავი!“
დროებას ფეხი აუწყო,
გულში ხმამაღლა ხარხარებს,
სახელს იხვეჭს და წინ მიდის
თანამედროვე ყვარყვარე!

მაშასადამე

როცა კაცუნას
ვარქმევთ გოლიათს,
როცა ჯარისკაცს
მარშლად ვასაღებთ,
როცა სიზმარი
ცხადი გვგონია, —
რაღაც ცუდად გვაქვს,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
როცა მოყვასის
მარცხი გვახარებს,
როცა სიმართლედ
ტყუილს ნათლავენ,
ტირილის ნაცვლად
როცა ვხარხარებთ, —
საქმე ცუდად გვაქვს,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
როდესაც „მოძმე“
ზურგში გვიმიზნებს,
ავი ზრახვა აქვთ
როცა სატანებს
და ფრთებს ასხამენ
როცა იმ მიზნებს, —
სიფრთხილე გვმართებს,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
როცა მინისტრი
ქართულს ვერა ფლობს,
როცა ქართული
მას არ ადარდებს,
როცა ორატორს
ვარქმევთ ენაბლუს, —
რაღაც გვეშლება,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
ციხე, როდესაც
ტყდება შიგნიდან,
ამღვრეულია
როცა სათავე
და ღმერთთან ეშმაკს
ვგზავნით შიკრიკად, —
ავი სენი გვჭირს,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
როდესაც სახლი
უკვე ინგრევა,
ხოლო მხატვრები
ფასადს ხატავენ,
როცა არ ვიცით,
ხვალ რა იქნება, —
შველა გვჭირდება,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
როცა ორგულ კაცს
მაღლა გზავნიან
და როცა საგზლად
„ვაშას“ ატანენ,
დიდ საქმეს უკვე
დიდი ბზარი აქვს
და ჩაიშლება,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!
ქართულ მიწას რომ
ყიდის ქართველი,
თვალს რომ ვხუჭავთ და
მას ვასარდალებთ
ჩვენი წვრილ-წვრილი
საქმით გართულნი, —
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე,
მ ა შ ა ს ა დ ა [illegible] ე,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე,
ღირს დაფიქრება
და კითხვის დასმა:
ასე სადამდე?
სახლი თავისით
არ აიგება,
უნდა ავაგოთ,
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე!

დიდი კაცი

თუ ამქვეყნად ვინმე დადის,
ისიც დადის — დიდი კაცი,
ლომის ძალის, ვეფხისტყავა,
ხისთავა და მელაკუდა,
მას სულაც არ ენაღვლება,
ჯიბესავსეს, სინდისგაცლილს,
რომ ქვეყანა დაქცეულა
და ქვეყანას შველა უნდა!

არის კაცი — საკუთარი
მამულით და სრა-სასახლით,
საკუთარი „მერსედესით“,
მსახურით და მასხარათი,
საკუთარი განძთსაცავით,
ალაყაფთან — ავი ძაღლით
და ცხოვრება მისთვის არის
უსასრულო მასკარადი!

სიტყვით ხალხის მსახურია,
გულით — ღრძო და ვერაგია,
ტრიბუნასთან უყვარს დგომა
და ხმამაღლა დაფიცება,
საითაც ქრის, იქით მიდის,
რწმენას იცვლის პერანგივით,
თუმცა თავი ისე მოაქვს,
თითქოს მან თქვა „ათი მცნება“!

ზვიადია ხასიათით,
დიადია გარეგნულად,
თითქოს იმის მემკვიდრეა,
დიდგორზე რომ მტრებმა
მოკლეს,
ძალაც აქვს და ჭკუაც აქვს და,
თქვენ ხუმრობა არ გეგონოთ,
მოგონილი არის მასთან
კარლოს დიდიც, პიპინ მოკლეც!
ისე მარჯვედ უსვამს ნიჩაბს,
ტალღებს ისე მარჯვედ აპობს,
რომ ცხოვრება ბობოქარი
სათამაშო ბურთად უჩანს!..
გველეშაპიც რომ შეხვდეს და
იგი ცოცხლად გადაყლაპოს,
გაფატრავს და თავს დაიხსნის,
თვალს წამითაც არ დახუჭავს!
ანტიკვარულ ნივთებს იძენს,
თავი მოსწონს ამით დიდად,
სხვას არავის არ არგია,
მუდამ სხვისგან ელის თა[illegible]ალ
და უკლია ერთი წუთი,
ერთი წამი, ერთი ციდა,
რომ ქვეყანას მოევლინოს
ახალ ბაღვაშ ერისთავად!

მტერს!

თანამდებობის
სავარძელში რომ
დ ე ვ ს,
ხალხზე ფიქრი რომ
თითქოს ჩრდილივით
ს დ ე ვ ს,
ცხრათავიანს რომ
დამსგავსებია
დ ე ვ ს,
ცივი თვალებით
ძალიან რომ ჰგავს
თ ე ვ ზ ს,
ჭკუას რომ თითქოს
თავში წვალებით
ს ტ ე ვ ს,
ამ ცხოვრებას რომ
„მარლბოროსავით“
ს წ ე ვ ს,
წევს თუ დადის თუ
მაინც რომ მუდამ
დ ე ვ ს, —
მტერს! ო, ამნაირ
კაცთან შეხვედრა
მ ტ ე რ ს!

მიკვირს

რუსთაველზე იყიდება
ხაჭაპური ფენოვანი,
მაგრამ ასე გრძელი რიგის
ვერ ავხსენი ფენომენი.
არის ფქვილი, არის ყველი,
არის რიგი დაძაბული,
მალაზიას შეუძლია
ბლომად ჩაიყაჭოს ფული,
ჰოდა, მიკვირს გრძელი რიგი
და სიმცირე ხაჭაპურის!



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არსაპატიებელი
არავინ აპატია,
ადგა და ცოდვები
თავადვე იპატია,
გაუძლო დაცემას,
ტანჯვას და აპათიას
და მაინც დაკარგა
მოძმეთა სიმპათია!

ნამდვილი ყაჩაღია,
თუმცაღა უთოფოა,
გზები არ უთელია,
წყლები არ უტოპია,
მისთვის ეს ცხოვრება
პირველი წუთებიდან
არასდროს ყოფილა
ფუჭი რამ უტოპია!

პოდპოლკოვნიკ პავლოვის მონოლოგი

გაზეთ „კრასნაია ზვეზდა-
ში" გამოქვეყნებული ცი-
ლისმწამებლური სტატიის
ავტორს.

მე მაქვს უფლება,
უუფლებოდ
ჩაგთვალოთ ყველა,
მე მაქვს უფლება,
ვიცრუო ისე,
რომ დაგიხატოთ
შავი — თეთრად
და თეთრი — შავად!
მე არ მანაღვლებს
თქვენი წუხილი,
მთავარი არის:
მე მაქვს ძალა,
ძალა, რომელიც
აღმართსაც მოხნავს!
მე ჯერ მხოლოდ ვწერ,
ჯერ გარწმუნებთ,
რომ დაიჯეროთ:
შავი — თეთრია,
თეთრი კი — შავი!
ჯერ მე კატკოვის
კალმით გარიგებთ,
ჭკუას გასწავლით,
ხოლო თქვენს შორის
თუკი ვინმე
არის ილია...
მიმიხვდით ალბათ!..

მორჩა და გათავდა!

ილუსტრაციები
ჯემალ ლოლუასი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— გუშინ, ავტობუსში რომ ავედი, სამი კაცი წამოხ-
ტა და ადგილი დამითმო!
— მერე, დაეტიე?!

შეცდომებზე ვსწავლობთ!

ამინდის ბიურომ თბილი ზამთარი იწინასწარმეტყველა და გათბობის მესვეურებმა გათბობაზე აღარ იზრუნეს! ვინ არის დამნაშავე? — ღმერთი! ხომ შეეძლო, თბილი ზამთარი დაეგეგმა?!. ან კიდევ, სასაფლაოებმა რომ ვერ შეასრულეს მიცვალებულთა დაკრძალვის კომპლექსური გეგმა, ვინ არის დამნაშავე? — მიქელ-გაბრიელი! ხომ შეეძლო, არ დაზარებოდა და ცოტა უფრო მეტი ხალხი დაეხოცა?!. მაგრამ ცხოვრებაში ადამიანს გამოცდილება ესაჭიროება. მერე რა, რომ ერთხელ შეცდება, ორჯერ, სამჯერ, ათჯერ და თუნდაც მეტჯერაც?! აი, მე როცა რაიმე მეშლება და ვაშავებ, მიხარია კიდეც, რადგან ადამიანი შეცდომებზე სწავლობს! მეც ვისწავლი და შემდეგ სხვას უფრო ადვილად ვასწავლი, თუ როგორ შეეშალოს, რომ იმანაც შეცდომებზე ისწავლოს, რათა გამოსწორდეს და კაცი დადგეს!

შეცდომებზე სწავლების მხრივ თბილისის სატელეფონო სამსახურიც ნამდვილი აკადემიაა. ვისაც სურს, დაიწყოს იქ სამსახური, დაუშვას, რამდენიც სურს შეცდომა მოქალაქეთა ტელეფონების დადგმა-არდადგმისა თუ მისი მუშაობისა და მოვლის საქმეში, ისწავლის, ნელ-ნელა გამოცდილებასაც მიიღებს და ოცდამეერთე საუკუნეში ჩვენს შთამომავლობას უმაღლეს დონეზე მოემსახურება!

ახლა, ადამიანს ცოდნა და გამოცდილება დაბადებისთანავე ვერ დაყვება! გაიზრდება, იცოცხლებს ხანგრძლივ, ისწავლის, ისწავლის დაუსრულებლივ და თუ სიკვდილის წინ მაინც მიხვდება, რომ კვლავ არაფერი იცის, ისტორიამ შეიძლება ბრძენადაც კი შერაცხოს!

გივი ზედელაშვილი

თენგიზ გოგოლაძე

იუბილარი

ფელეტონის მაგიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მეგობარ მწერალს ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდა, დოყლაპიასავით მოიქცა — იუბილე არ გამართა!

დიახ, სწორედ ასე — იუბილე არ გამართა!

ახლა ცოტა დაწვრილებით მოგახსენებთ, რაშია საქმე.

ხანგრძლივი დაკვირვებისა და საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ, როგორც სტატისტიკამ დაადგინა, იუბილეთა გამართვაში პირველ ადგილზე მწერლები გამოვიდნენ, მეორეზე — მსახიობები, მესამეზე — მეცნიერები, მეოთხეზე — სხვა დანარჩენნი, ერთად აღებულნი!..

იუბილართა პრივილეგირებულ კლასს ეკუთვნოდა ის ჩემი მეგობარი მწერალი, ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდა, დოყლაპიასავით რომ მოიქცა და იუბილე არ გამართა!

იქნებ ასე უნდა მეთქვა: არ გაუმართეს-მეთქი?

კარგა ხანია ასეა მიღებული: იუბილარმა ყველაზე უკეთ იცის, სად და როდის იბადება, ზუსტად როდის უსრულდება საიუბილეო თარიღი და თუ ჩემი მეგობარი მწერალივით დოყლაპიობას არ გამოიჩენს, თადარიგს თავის დროზე იჭერს და ყველაფერს თავად აგვარებს — სურათების გადაღებაო, წერილების მომზადებაო, დარბაზის გამონახვა და დეკლამატორების მოწვევაო, პურ-მარილი და საბანკეტო დარბაზიო!..

ბევრ უზარმაზარ ბანკეტს დავსწრებივარ, მინახავს, მავანსა და მავანს როგორ ხლებიან მთავრობის პასუხისმგებელი მუშაკები, როგორი პათოსით წაუკითხავთ მავან და მავან თავკაცთა მისალოცი დეპეშები!.. შემდეგ საიუბილეო ტურნე დიდხანს გაგრძელებულა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში!..

მაცდუნებელი რამ არის იუბილე იუბილარისათვის, თუკი იუბილომანიის ვირუსით დაავადდა!

მიკვირს, ამ საყოველთაო ეპიდემიას, რომელიც კარგა ხანია მძვინვარებს, როგორ გადაურჩა ის ჩემი მეგობარი მწერალი?!

როცა მან გაგვაცურა და მართლა დოყლაპიასავით მოიქცა — იუბილე არ გამართა, რამდენიმე ახლობელმა, ისე, რბილად, მორიდებით და მეგობრულად ვუსაყვედურეთ:

— რა იყო, შე კაცო, ვისზე ნაკლები მწერალი ხარ, ასე უხმაუროდ რომ გადაახტი ამ შენს ორმოცდაათ წელს?!

— მომეშვით, თუ ღმერთი გწამთ! მე ახლა... კაცმა რომ თქვას, რა გავაკეთე ისეთი?! როგორ გამოვიჭიმო სცენაზე სავარძელში?! როგორ გგონიათ, რამპის შუქში განბანილი, სხვასავით ნეტარებით მოვისმენ საქებარ სიტყვებს?! სცენა გოლგოთა მგონია და საიუბილეო სავარძელი — გილიოტინა! რას უძლებენ, ღმერთო ჩემო! არიქათ, დამაჯილდოეთ-მეთქი, ამას ვის ვეტყვი?! ანდა, რედაქციებში ჩემით როგორ მივიტან მასალებს?! ღმერთო, დამიფარე ასეთი ცდუნებისაგან! მეორედ აღარ გამაგონოთ, თორემ მეწყინება!

— დაფიქრდი, დაფიქრდი!.. სამოც წლამდე დიდი დრო გაქვს!.. არ ვარგა ასე მუდამ ჩრდილში დგომა! სხვა რომ არაფერი, გაცივდები! ცოტა უნდა გაინძრე!

— იუბილე თუ არ გინდა, შე დალოცვილო, განცხადება მაინც დაწერე ტომეულებზე!.. ბარე ათ ტომს გამოუშვებ, იმდენი რამ დაგიგროვდა!..

ამის შემდეგ გავიდა წლები. სამოც წელს რომ მიუკაკუნა იმ ჩემმა მეგობარმა მწერალმა, ტომეულები შევახსენეთ.

ეს რჩევა მაცდუნებელი გამოდგა მისთვის.

1986 წლის იანვარი იყო. ჩემი მეგობარი იმ წლის აგვისტოში ხდებოდა სამოცი წლისა. განცხადება კი დაწერა ორტომეულის გამოცემის თაობაზე, მაგრამ ფეხს ითრევდა, ასე ადრე როგორ მივიტანო, რას იტყვიან, ჯერ სამოცის რომ არ შევსრულებულვარო?! ფრიად მოკრძალებული განცხადება მიართვა მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველს. თავკაცთაგან არავინ შეუწუხებია.

რაღაც საქმის გამო ერთი თვით ქალაქიდან გასული ვიყავი. დავბრუნდი თუ არა, ჩემს მეგობარ მწერალს ვეწვიე.

— როგორაა ტომეულების საქმე? — ვკითხე.

ქვეშ-ქვეშ გამომხედა დამცინავი ღიმილით. მერე წამოდგა, საწერ მაგიდაზე რაღაც ქაღალდი მოძებნა და გამომიწოდა, წაიკითხეო. გამსახკომის პასუხის ასლი იყო, მიწერილი მწერალთა კავშირისადმი. ამ რამდენიმე სტრიქონში საქმის მთელი არსი ამოვიკითხე: ნაცვლად ორტომეულისა, მწერალთა კავშირის სამდივნოს ერთტომეულის გამოცემა დაუდგენია, იზრუნეთ მეცამეტე ხუთწლედისათვისო!

ქაღალდს თვალი მოვაცილე და მეგობარ მწერალს გაკვირვებით შევხედე:

— გამოდის, რომ რამდენიმე წლით ადრე უნდა გეზრუნა!

— რა ვიცი, რანაირად!.. განცხადებაში როგორ ჩამეწერა, ორი წლის მერე სამოცი წლის ვხდები-მეთქი?! კაცი პეპელასავითაა, დღეს არის, ხვალ — აღარ!.. ვისა აქვს იმის გარანტია, რომ... ერთი სიტყვით, გამამასხრეს და მეორედ... თუ გიყვარდეთ!..

— ბრძოლაა საჭირო!

— გაცვეთილი ფრაზაა, ჩემო კარგო! ყველას არ შესწევს ამის უნარი!..

გულდაწყვეტილი დავშორდი ჩემს მეგობარ მწერალს და რამდენიმე დღე არ მიმიკითხავს მისთვის. ერთ საღამოს ტელეფონით დამელაპარაკა, ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი და, თუ გცალია, შემომიარეო!

მაშინვე მისკენ გავეშურე.

— დაჯექი, რაღაც უნდა წაგაკითხო!

ფურცლების დასტა გამომიწოდა. ჯერ ისე, ზერელედ გადავხედე, რამდენიმე განცხადება იყო მწერალთა კავშირის სამდივნოს სახელზე დაწერილი.

ვკითხულობ პირველს:

„1996 წელს მისრულდება დაბადების 70 წელი. მინდა შემოქმედებითი ანგარიშით წარვსდგე ჩემი მკითხველების წინაშე. გთხოვთ გამომიცეთ სამტომეული, ჩამწეროთ მსუბუქი ავტომანქანის შესაძენ სიაში!.. ებებ წარმადგინოთ მთავრობის რომელიმე ჯილდოზე!.. მოკრძალებულ ბანკეტს ჩემი ბარჯით გავმართავ!..“

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! — წამოვიძახე და ახლა მეორე განცხადების კითხვას შევუდექი:

„2001 წელს მისრულდება დაბადების 75 წელი (როგორც ვიცი, საიუბილეო თარიღია!) გთხოვთ გამომიცეთ ოთხტომეული, ამასთან მოვითხოვ, ჩამწეროთ ვერტმფრენის შესაძენ სიაში! კატეგორიულად მოვითხოვ ორდენს და საიუბილეო საღამოს გამართვას ქალაქის რომელიმე წამყვან თეატრში! დროა ვიფიქროთ სახელმწიფო პრემიაზეც!.. ბანკეტისათვის პურ-მარილი დაავალეთ რომელიმე სახოფლო რაიონს!..“

სხვა ვერაფერი რომ ვერ მოვახერხე, უფრო ხმამაღლა შევძახე, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს-მეთქი, და ახლა მესამე განცხადების კითხვა განვაგრძე:

„2006 წელს მისრულდება დაბადების 80 წელი. უნდა დამისტამბოთ ათტომეული, წარმადგინოთ რომელიმე საერთაშორისო პრემიაზე, შემიძინოთ „ნაუტილუსის“ ტიპის წყალქვეშა ნავი, რომ სიბერის ჟამს გავეცნო წყლის ბინადართა ცხოვრებას (იმდროისათვის ჩაფიქრებული მექნება დავწერო რომანი ლიფსიტებისა და ზვიგენების მიჯნურობაზე). ჩემი საიუბილეო საღამო მოეწყობა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც შემდეგ გადაინაცვლებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში და გადაიქცევა იგი ლიტერატურის გრანდიოზულ ზეიმად!.. სიცოცხლეშივე აღიმართოს ჩემი ძეგლი რომელიმე აწ გათავისუფლებულ, ყველაზე მაღალ პოსტამენტზე!..“

— ღმერთო, მოგვასწარ ამ დღეს! — ხელები აღვაპყარ, მერე ჩემს მეგობარ მწერალს შევხედე. სავარძელში მჯდომი ისეთი სერიოზული თვალებით მიყურებდა, თითქოს აღარც ახსოვდა თავისი მომავალი რომანის გმირები — ლიფსიტები და ზვიგენები!..

ვნახოთ, რას წერს მეოთხე განცხადებაში:

„2026 წელს მისრულდება დაბადების 100 წელი!..“

— რატომ ასი, ოთხმოცდაათს რას უშვრები?! — ვკითხე გაოცებით. საკვირველია ამ კაცის ასეთი თავმდაბლობა, მთელი ოცი წელი მოითმინოს უიუბილეოდ!

— ოთხმოცდაათი საიუბილეო არ არისო!.. ვიცი მე! — მშვიდად მომიგო მან ისე, თითქოს გარანტირებული ჰქონდა ასი წლის სიცოცხლე.

ბოლო განცხადება 2426 წელს ეხებოდა. ეს ის თარიღია, როცა ჩემს მეგობარ მწერალს 500 წელი შეუსრულდება.

— ასე შორსაც წახვედი?

— ჰო, რა ვიცი. ნეტავი იმ დღეს წამომახედა და დამანახვა, რა იქნება ჩვენს პლანეტაზე! ალბათ მაშინ ყველანი ჭკვიანები და გენიოსები იქნებიან და ერთმანეთს აღარ გამოეჭიმებიან!..

ბოლოთქმა

თავდაჭერილი კაცი მაინც გაბრიყვდა და მეცამეტე ხუთწლედისათვის შეპირებული ტომეული მოითხოვა.

ამ ხუთწლედისათვის გათვალისწინებული ტომეულები კი ერთერთი გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის რედაქციის საბჭოს წევრებს მთლიანად მიუთვისებიათ. სხდომის ოქმში ლამაზადაა ჩაწიკწიკებული: საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობითო!..

შენ კი — ბრაწვიო! — უთხრეს ჩემს მეგობარ მწერალს.

405
23.VII 1990
ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქვამარილი გაქვთ?
— არა, მარილიანი კარაქი გვაქვს!

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

9 აპრილი და გარდაქმნა

გალაკტიონისებურად

მიჰყვება ბარი და „სი-ესი"
ძმად ნამგალს და უროს მხარდამხარ!..
ხელახლა ჯვარს აცვა იესო
გარდაქმნამ, გარდაქმნამ, გარდაქმნამ!..

თუმც არ მწამს მკითხავის, არც მოგვის,
ეჭვები შემიპყრობს ხანდახან:
სხვა როდიონოვს ხომ არ მოგვგვრის
გარდაქმნა, გარდაქმნა, გარდაქმნა?!

არ მინდა წითელი არმია
არც ცოლად, არც შვილად, არცა ქმრად!..
გვაცილე სხვა სისხლს და სხვა ზიანს
გარდაქმნავ, გარდაქმნავ, გარდაქმნავ!

და მაინც დაჭრილ გულს ამრთელებს,
იმედს ღმერთთან ვგზავნი ქარდაქარ,
რომ აგვხსნის ბორკილებს ქართველებს
გარდაქმნა, გარდაქმნა, გარდაქმნა!..

მანანა ფირანიშვილი-ბერძენიშვილი
(ქ. თელავი)

ნახ. ზაზა სვანიშვილისა

უსიტყვოდ

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 18 (1815). ივლისი გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვახუა ასირეჯიბა, ნოშადი ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე ხამხონია, ბეჟან ხიზარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 1. 06. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 07. 90 წ. ქაღალდის ზომა 60×90$^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 1283. უე 07064. ტირაჟი 125.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187



— გამარკვიე, საით წავიდე?! შენ დაგიჯერო თუ ბელადს?!